

ევროპის საბჭო

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(89)12 წევრი სახელმწიფოებისათვის

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1989 წლის 13 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების 429-ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის შესაბამისად -

- მიიჩნევს რა განათლების უფლებას როგორც ფუნდამენტურ უფლებას;
- მიიჩნევს რა, რომ განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებისათვის;
- აცნობიერებს რა, რომ პატიმართა დიდ ნაწილს ჰქონდა მწირი განათლება, და შესაბამისად, ესაჭიროებათ განათლების მიღება;
- მიიჩნევს რა, რომ განათლება ჰუმანურს ხდის სასჯელატლსრულების დაწესებულებას და აუმჯობესებს პატიმრობის პირობებს;
- მიიჩნევს რა, რომ განათლება სასჯელატლსრულების დაწესებულებებში წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას პატიმართა საზოგადოებაში დაბრუნებისთვის ხელშესაწყობად;
- ითვალისწინებს რა, რომ ზოგიერთი უფლების და ღონისძიების პრაქტიკული აღსრულებისას, ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების შესაბამისად, დასაშვებია წინასწარ პატიმრობაში მყოფთა და მსჯავრდებულთა განსხვავება;
- მხედველობაში აქვს რა რეკომენდაცია № R(87)3 ციხის ევროპული წესების შესახებ და რეკომენდაცია № R(81)17 ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის შესახებ,

- რეკომენდაციას უწევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

1. ყველა პატიმრისთვის განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რომელშიც იგულისხმება საბაზისო და პროფესიული განათლება, კულტურული და შემოქმედებითი აქტივობები, ფიზიკური განათლება და სპორტი, სოციალური განათლება და ბიბლიოთეკა;
2. პატიმრისთვის მიწოდებული განათლება უნდა იყოს მსგავსი იმავე ასაკობრივი ჯგუფისთვის გარე სამყაროში მიწოდებული განათლებისა, და ცოდნის შეძენის საშუალებები უნდა იყოს რაც შეიძლება ფართო;
3. განათლებას სასჯელატლსრულების დაწესებულებაში მიზნად უნდა ჰქონდეს ინდივიდის სრულყოფილი განვითარება პიროვნების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით;
4. ყველამ, ვინც ჩაბმულია სასჯელატლსრულების სისტემის მართვასა და ადმინისტრირებაში რაც შეიძლება მეტად უნდა შეუწყოს ხელი და მხარი დაუჭიროს განათლების უზრუნველყოფას;
5. განათლებას არ შეიძლება ჰქონდეს უფრო ნაკლება სტატუსი ვიდრე შრომას სასჯელატლსრულების დაწესებულებაში და პატიმრებმა არ უნდა მიიღონ ფინანსური ან სხვაგვარი დანაკარგი საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობის გამო;
6. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ პატიმრები წახალისებულნი იქნენ და ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესებში;
7. განვითარების პროგრამები უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასჯელატლსრულების სისტემაში განათლების მიწოდებით დაკავებული პირებისათვის, რომ მათ შეიძინონ სპეციალური მეთოდები ზრდასრულთა განათლებისათვის;
8. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ პატიმრებს, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული სიძნელეები და განსაკუთრებით იმ პატიმრებს, რომელთაც აქვთ წერისა და კითხვის პრობლემები;
9. პროფესიული განათლება მიზნად უნდა ისახავდეს პიროვნების ზოგად განვითარებას და, ასევე, უნდა იყოს შესაბამისი იმ დროისთვის არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებისა;
10. პატიმრებს უნდა შეეძლოთ კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკით სარგებლობა კვირაში ერთხელ მაინც;
11. პატიმრების ფიზიკურ მომზადებასა და სპორტს ხელი უნდა შეუწყოს და წახალისდეს;
12. კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობამ უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი, რადგან ასეთ საქმიანობას აქვს განსაკუთრებული პოტენციალი პატიმართა განვითარებისა და თვითგამოხატვისათვის;
13. სოციალური განათლება უნდა შედგებოდეს პრაქტიკული ელემენტებისგან, რომლებიც საშუალებას აძლევს პატიმრებს წარმართონ ყოველდღიური ცხოვრება სასჯელატლსრულების დაწესებულებაში, რაც მათ საზოგადოებაში დაბრუნებას დაეხმარება;

14. თუ შესაძლებელია, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება მიიღონ განათლება სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთაც;
15. როდესაც განათლების უზრუნველყოფა ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულების შიგნით, გარეთ მყოფი საზოგადოება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში;
16. უნდა გატარდეს ღონისძიებები იმისათვის, რომ პატიმრებმა განაგრძონ განათლების მიღება მათი განთავისუფლების შემდეგაც;
17. ფინანსური რესურსები, აღჭურვილობა და განათლების სექტორში დასაქმებული პერსონალი უნდა იქნას უზრუნველყოფილი იმისათვის, რომ პატიმრებმა მიიღონ შესაბამისი განათლება.